



## საქართველოს თავდაცვის მინისტრის

### ბრძანება

ქ. თბილისი

16/07/2021 წელი

№ MOD 3 21 00000600



#### სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 ივლისის N445 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ დებულების“ მე-5 მუხლის მე-6-მე-8 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის და „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის N580 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ და „ო“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე განცხადებების განმხილველი კომისია (შემდგომში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:
  - ა) კომისიის თავმჯდომარე - საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე **ზურაბ აზარაშვილი**, რომელიც წარმართავს კომისიის სხდომას;
  - ბ) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე - გენერალური შტაბის უფროსი **ბრიგადის გენერალი ჯონი ტატუნაშვილი**, რომელიც ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას მისი არყოფნის შემთხვევაში;
  - გ) კომისიის წევრები:
    - გ.ა) საქართველოს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდალი;
    - გ.ბ) საქართველოს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდალის მოადგილე - **დავით მიქაძე**;
    - გ.გ) საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის უფროსი;
    - გ.დ) საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის J-1 პერსონალის დეპარტამენტის უფროსი;

- გ.ე) საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის J-4 ლოჯისტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი;
- გ.ვ) საქართველოს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდალი;
- გ.ზ) საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდალი;
- გ.თ) სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
- გ.ი) სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
- გ.კ) სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მიერ განსაზღვრული იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
- გ.ლ) სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსის მიერ განსაზღვრული ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
- გ.მ) სამინისტროს ინფრასტრუქტურის მართვის, სტანდარტიზაციისა და კოდიფიკაციის დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის მართვის სამმართველოს უფროსი.

2. კომისია უფლებამოსილია კომისიის სხდომაზე მოიწვიოს სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი სათათბირო ხმის უფლებით (არ იღებს მონაწილეობას კენჭისყრაში).

3. კომისია, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზე, უფლებამოსილია მიიღოს:

ა) გადაწყვეტილება უფლებამოსილი პირისათვის საცხოვრებელი ან/და არასაცხოვრებელი ფართობის (შესაბამის მიწის ნაკვეთთან ერთად) საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, თუ:

ა.ა) ამ პირის მიერ სრულყოფილად არის წარდგენილი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 ივლისის N445 დადგენილებით (შემდგომში - დადგენილება) დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაცია;

ა.ბ) საცხოვრებელი ან/და არასაცხოვრებელი ფართობი ექვემდებარება საკუთრებაში გადაცემას ამ დადგენილების მიხედვით;

ა.გ) არ მიმდინარეობს დავა ამ ფართობზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით;

ა.დ) სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემულ დოკუმენტში არ არის მითითებული ამ ფართობზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციის შესახებ;

ბ) გადაწყვეტილება განმცხადებლისათვის საცხოვრებელი ან/და არასაცხოვრებელი ფართობის (შესაბამის მიწის ნაკვეთთან ერთად) საკუთრებაში გადაცემაზე უარის თქმის შესახებ, თუ ვერ კმაყოფილდება საცხოვრებელი ან/და არასაცხოვრებელი ფართობის (შესაბამის მიწის ნაკვეთთან ერთად) საკუთრებაში გადაცემისათვის დადგენილებით განსაზღვრული პირობები;

გ) გადაწყვეტილება საკითხის დამატებითი შესწავლის შესახებ, თუ საჭიროა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დამატებით გამოკვლევა;

დ) გადაწყვეტილება საკითხის განხილვის გადადების შესახებ;

ე) რეკომენდაცია საცხოვრებელი ან/და არასაცხოვრებელი ფართობისთვის სამსახურებრივი სარგებლობის ფართობის სტატუსის მოხსნის ან მინიჭების შესახებ, რომელიც წარედგინება საქართველოს თავდაცვის მინისტრს (შემდგომში - მინისტრი).

**4. კომისია უფლებამოსილია:**

ა) საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენის მიზნით, ადმინისტრაციული ორგანოებიდან, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან, აგრეთვე სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისგან გამოითხოვოს და მიიღოს დამატებითი

ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

ბ) კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების მიზნით, მოიწვიოს დაინტერესებული პირი;

გ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირს, რომელსაც სამინისტროში არ აქვს წარდგენილი განცხადება საცხოვრებელი ან/და არასაცხოვრებელი ფართობის (შესაბამის მიწის ნაკვეთთან ერთად) თანასაკუთრებაში მიღების თაობაზე, განუსაზღვროს ვადა საცხოვრებელი ან/და არასაცხოვრებელი ფართობის (შესაბამის მიწის ნაკვეთთან ერთად) თანასაკუთრებაში მიღებასთან დაკავშირებით განცხადების სამინისტროში წარდგენის მიზნით.

5. კომისია უფლებამოსილია შეიმუშავოს გადაწყვეტილება/რეკომენდაცია, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ნახევრისა (მათ შორის, კომისიის თავმჯდომარე).

6. კომისიის გადაწყვეტილება/რეკომენდაცია მიიღება სახელობითი კენჭისყრის საფუძველზე, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. კომისიის ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

7. კომისიის სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრი ვალდებულია:

ა) მონაწილეობა მიიღოს კომისიის საქმიანობაში;

ბ) მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში (თავის შეკავების უფლების გარეშე).

8. კომისიის სხდომაზე დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი, აგრეთვე, კომისიის სხდომაში მონაწილე კომისიის ყველა წევრი.

9. საქართველოს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა ახორციელებს კომისიის სამდივნოს (შემდგომში - სამდივნო) ფუნქციას.

10. კომისიის მდივნის ფუნქციას ახორციელებს საქართველოს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის მოსამსახურე, ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლის გადაწყვეტილებით.

## 11. სამდივნო:

ა) ახორციელებს კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას;

ბ) იღებს განცხადებას თანდართული განცხადების ფორმის (დანართი N1) შესაბამისად;

გ) საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ამზადებს საკითხებს კომისიაზე განსახილველად და კომისიას წარუდგენს ინფორმაციას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით არსებული გარემოებების შესახებ;

დ) შეიმუშავებს კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტს და წარუდგენს კომისიის თავმჯდომარეს;

ე) უფლებამოსილია განმცხადებელს და სხვა დაინტერესებულ პირს, საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენის მიზნით, მოთხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა ან/და ახსნა-განმარტება და ამისათვის განუსაზღვროს გონივრული ვადა (არ უნდა იყოს ათ დღეზე ნაკლები);

ვ) უფლებამოსილია მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოებს, სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და სამინისტროს სისტემაში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, აგრეთვე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოწოდების ან/და შესაბამისი ქმედებების განხორციელების თაობაზე;

ზ) საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის

კარტოგრაფია-გეოდეზიის დეპარტამენტთან ერთად, უფლებამოსილია შეადგინოს სართულის განშლის დამადასტურებელი დოკუმენტი;

თ) ადგენს კომისიის სხდომის ოქმს, ამზადებს გადაწყვეტილების ამონაწერს კომისიის სხდომის ოქმიდან;

ი) შეესებულ საკუთრების უფლების მოწმობის პროექტს ხელმოსაწერად წარუდგენს მინისტრს;

კ) აღრიცხავს საკუთრების მოწმობებს;

ლ) დაინტერესებულ პირს უგზავნის საკუთრების მოწმობას;

მ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ღონისძიებებს.

## 12. დაევალოს:

ა) სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, ასევე სამინისტროს სისტემაში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს სათანადო დახმარება გაუწიონ კომისიას და კომისიის სამდივნოს, მათი მოთხოვნის საფუძველზე;

ბ) სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს - წარუდგინოს კომისიის სამდივნოს ინფორმაცია იმ საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობების შესახებ, რომლებთან დაკავშირებითაც სამინისტროს ჩართულობით მიმდინარეობს დავა;

გ) საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის კარტოგრაფია-გეოდეზიის დეპარტამენტს, საჭიროების შემთხვევაში, შეადგინოს სართულის განშლის დამადასტურებელი დოკუმენტი საქართველოს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

13. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 4 აგვისტოს MOD 9 20 00000535 ბრძანება.

14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64), ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

მინისტრი  
ჯუანშერ ბურჭულაძე



საქართველოს თავდაცვის მინისტრის ..... წლის .....ბრძანებით შექმნილ კომისიას

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 ივლისის N445 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირი

-----

სახელი, გვარი

-----

ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი

-----

პირადი ნომერი

-----

დევნილის მოწმობის ნომერი

-----

ელექტრონული ფოსტა

-----

ტელეფონი

წარმომადგენელი

-----

სახელი, გვარი

-----

ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი

-----

პირადი ნომერი

-----

ელექტრონული ფოსტა

-----

ტელეფონი

გთხოვთ, უსასყიდლო საკუთრებაში გადმომცეთ/თანასაკუთრებაში გადმოგვცეთ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ფართობი, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 ივლისის N445 დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მიწასთან ერთად:

საცხოვრებელი

-----

საკადასტრო კოდი

-----

მისამართი

არასაცხოვრებელი

-----

საკადასტრო კოდი

-----

მისამართი

- წარმოადგენს მრავალბინიანი სახლის ნაწილს
- არ წარმოადგენს მრავალბინიანი სახლის ნაწილს
- წარმოადგენს მრავალბინიანი სახლის ნაწილს
- არ წარმოადგენს მრავალბინიანი სახლის ნაწილს

**ჩემთვის/ჩვენთვის ცნობილია და ვეთანხმები(თ), რომ:**

ა) „სახელმწიფო საკუთრებში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 ივლისის N445 დადგენილების მიხედვით, ამ დადგენილებით განსაზღვრული ფართობი საკუთრებაში არ გადაეცემა:

ა.ა) პირს, თუ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ან/და არასაცხოვრებელი ფართობი (შესაბამის მიწის ნაკვეთთან ერთად) საკუთრებაში ერთხელ მაინც გადაეცა უსასყიდლოდ ან/და სიმბოლურ ფასად (1000 ლარამდე);

ა.ბ) დევნილს/დევნილ ოჯახს, თუ უზრუნველყოფილი არის დევნილის გრძელვადიანი საცხოვრებელით;

ა.გ) საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირს ან/და რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალებში მომსახურე პირს;

ა.დ) პირს რომელსაც საკუთრებაში აქვს საცხოვრებელი ან/და არასაცხოვრებელი ფართობი;

ა.ე) თუ საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობი (შესაბამის მიწის ნაკვეთთან ერთად) შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს სამხედრო დანიშნულებით ან/და მას აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა.

**ვაცხადებ(თ), რომ:**

ა) საკუთრებაში არ მაქვს საცხოვრებელი ან/და არასაცხოვრებელი ფართობი;

ბ) არ ვარ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალებში მომსახურე პირი;

გ) ჩემთვის ცნობილია „სახელმწიფო საკუთრებში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 ივლისის N445 დადგენილების შესაბამისად, საცხოვრებელი ან/და არასაცხოვრებელი ფართობის (შესაბამის მიწის ნაკვეთთან ერთად) შესაბამისი პირისათვის (მათ შორის, დევნილისათვის/დევნილი ოჯახისათვის) საკუთრებაში გადაცემა წარმოადგენს სახელმწიფოს ან/და სამინისტროს მიერ მის მიმართ აღებული საცხოვრებელი ან/და არასაცხოვრებელი ფართობის (შესაბამის მიწის ნაკვეთთან ერთად) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ვალდებულების (მათ შორის, დევნილის გრძელვადიანი საცხოვრებელით უზრუნველყოფის) შესრულებას.

**ვაცხადებ(თ) თანხმობას, რომ:**

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დაამუშაოს (მათ შორის, გამოითხოვოს) ჩემთან/ჩვენთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები, რომლებიც საჭიროა სახელმწიფო საკუთრებში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ფართობის ჩემს/ჩვენს საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად.

ვადასტურებ(თ) წარმოდგენილი დოკუმენტაციის / ინფორმაციის სისწორეს.

დანართი:

- 1.
- 2.

ხელმოწერა -----

თარიღი -----